27/07/2023

წმინდა ტიხონის უნივერსიტეტში შედგა საქართველოს ეკლესიის იერარქის, გორისა და ატენის მიტროპოლიტ ანდრიას დისერტაციის დაცვა

14 ივლისს წმინდა ტიხონის მართლმადიდებლური ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოში წარმატებით ჩაიარა გორისა და ატენის მიტროპოლიტ ანდრიას (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია) დისერტაციის დაცვამ ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დისერტაციის თემაა «„ვახანის ქვაბების“ წეს-განგება: ადგილი და მნიშვნელობა ძველ ქართულ სამონასტრო ტრადიციაში“». ნაშრომი ეძღვნება ერთ-ერთი უძველესი ქართული მონასტრის – ცნობილი ვახანის მონასტრის (ვახანის მღვიმეების) წეს-განგების (ტიპიკონის) შინაარსისა და ფორმირების გარემოებების შესწავლას, იუწყება ტმჰუ-ის ვებგვერდი.

ოფიციალურმა ოპონენტებმა და ინიციატივური კომენტარების ავტორებმა აღნიშნეს, რომ დაცვისთვის წარდგენილი დისერტაცია ფუნდამენტურ და სკრუპულოზურად ჩატარებულ კვლევას მოწმობს. ავტორმა მოახერხა ვახანის მღვიმეების წეს-განგების

დათარიღება: ტექსტი განეკუთვნება XIII საუკუნის პირველ მესამედს და, ასევე, გაარკვია, რომ ეს ტიპიკონი დაწერილია ან საბოლოოდ რედაქტირებულია სარგის I-ის ძის, მხარგძელების უძველესი არისტოკრატული საგვარეულოს წარმომადგენლის, ერისკაც თაყაედინ მხარგძელ-თმოგველის მიერ

მეუფე ანდრიას სადისერტაციო კვლევა საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ტიპიკონში ასახული ვახანის მონასტრის სულიერი ტრადიციის თვითმყოფადობაზე: ავტორმა შეძლო ამის დამაჯერებლად დემონსტრირება, წეს-განგების განხილვით აღმოსავლურ-ასკეტური და კანონიკური ტრადიციის კონტექსტში – საკრებო განწესებების კომპლექსში, ბიზანტიურ კანონიკურ ძეგლებში, სხვა სამონასტრო წეს-განგებებსა და კანონებში. ვახანის ტიპიკონის ხელნაწერთან დისერტანტის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება იყო, მასში გამოყენებული წმინდა წერილის ტექსტების გამოვლენა, წმინდა წერილის ტექსტების ციტირების თავისებურებები და ტიპიკონის ავტორის მიერ მათი ორიგინალური ეგზეგეტიკური ინტერპრეტაცია.

სადისერტაციო საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მიტროპოლიტ ანდრიასთვის ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას, ასევე გამოთქვეს სურვილი, რომ ნაშრომი, ესოდენ მნიშვნელოვანი ქართული მონაზვნობის თანამედროვე ტრადიციის განვითარებისთვის, ქართულად ითარგმნოს და უახლოეს ხანში გამოიცეს.

mospat.ru/ge